



საქართველოს ს.ს.რ.



საბჭო. რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

1927 წ.

ოქსციდენტის სასახლსო კომისარიატის გამომცემა

1927 წ. სექტემბრის 20

№ 7

ნაწილი პირველი

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

97. დადგენილება № 59 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების მოწყობის შესახებ.

98. დადგენილება № 60 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ.

99. დადგენილება № 61 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—საცხოვრებელი სადგომების თაობაზე 1923 წ. სექტემბრის 26-ის დეკრეტის მე-11 მუხლის შეცვლის შესახებ.

100. დადგენილება № 62 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით გადასახდელის დადების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების და ქალაქის საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით გადასახდელის დადების შესახებ.

101. დადგენილება № 63 ც. ა. კ.—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის ადგილობრივი ორგანოების მუშაობის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

ინსტრუქცია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის ადგილობრივი ორგანოების მუშაობის შესახებ.

102. დადგენილება № 64 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—ყოფილი სასოფლო-სა-ადგილმამულო კომიტეტების მოქმედებაზე შეტანილი საჩივრების განსახილველად მიღების აკრძალვის შესახებ.

103. დადგენილება № 65 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—„საქართველოს ს. ს. რ.-ში ტყის აღდგენისა და ტყის გაშენების სპეციალური სახსარი“-ის სახელწოდებით სპეციალური ფონდის დაარსების შესახებ.

104. დადგენილება № 66 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 178 მუხ. რედაქციის შეცვლისა და ამ კოდექსისათვის 160<sup>1</sup>, 190<sup>1</sup> მუხლებისა და 59 მუხლის შენიშვნის დამატების შესახებ.

105. დადგენილება № 67 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სისხლის სამართლის კოდექსისათვის 144<sup>2</sup> მუხლის დამატების შესახებ.

106. დადგენილება № 68 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სამოქალაქო სამართლის კოდექსის 182<sup>3</sup> მუხლის შეცვლის შესახებ.

107. დადგენილება № 69 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სამოქალაქო სამართლის კოდექსის შეცვლისა და დამატების შესახებ.

108. დადგენილება № 70 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—ომის და შრომის ინვალიდებისა და სოციალურ უზრუნველყოფაზე მიღებულ გლეხთათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ.

### ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებანი.

109. ინსტრუქცია ც. ა. კ.—გლეხთა უფლების შესახებ ადგილობრივ საჭიროებათა დაკმაყოფილების სფეროში.

110. განმარტება ც. ა. კ.—სასამართლო-საადგილმამულო საქმეების ზედამხედველობის წესით განხილვის კომპეტენციის განაწილების შესახებ.

### სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

111. დადგენილება ს. კ. ს.—მაღარიასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

112. დადგენილება ს. კ. ს.—საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

დებულება საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოს შესახებ.

## სენატრული ალგასრულებელი კომისიის დადგენილებანი.

### 97. დადგენილება № 59 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების მოწყობის შესახებ.

საბჭოთა მედიცინის ერთიანობისა და იმ საჭიროების მიხედვით, რათა დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების საქმეში გაძლიერებულ იქნეს გვეგმიანი

ზელომდგანელობა, —სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოხდეს ლიკვიდაცია დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ყველა იმ სპეციალური განყოფილებისა, ქვეგანყოფილებისა და თანაგანყოფილებისა („მუშათა მედიცინა“), რომელიც შედის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, აფხაზეთის სსრ-სა, აჭარისტანის ავტონომიურ სსრ-სა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების აპარატის შედგენილობაში და რომელიც, აგრეთვე, ჯანმრთელობის ადგილობრივ ორგანოსთან არსებობს. მთელი მუშაობა დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების მოწყობისათვის დაეკისროს მთლად აღნიშნული ორგანოების აპარატს.

2. დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ფონდი ჯანმრთელობის სათანადო ორგანოების გამგებლობასა და განკარგულებაშია.

3. დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ფონდის გამოსაყენებლად ჯანმრთელობის ორგანოები შეადგენენ ცალკე ხარჯთ-აღრიცხვას და გეგმას; ამისთანავე ეს ფონდი შეიძლება იხარჯებოდეს დაზღვეულთათვის ყოველგვარი სამკურნალო და პროფილაქტიური დახმარების გასაწევად.

4. დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ფონდი არ უნდა იქნეს მოქცეული ადგილობრივ ბიუჯეტში და ამ ფონდმა არ უნდა გამოიწვიოს ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტით ჯანმრთელობის საქმისათვის გადადებული ასიგნებების შემცირება. ამ ფონდის სახსარი იხარჯება, როგორც ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტით გადადებული თანხების დამატება, და იგი ბიუჯეტში აღინუსხება ბალანსგარე, განსაკუთრებული შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვით, რაც სათანადო ბიუჯეტს დაერთვის.

5. დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ფონდის გეგმებისა და ხარჯთ-აღრიცხვების განსახილველად საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოებთან, აგრეთვე აფხაზეთის სსრ-სა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-სა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებთან და მათ ადგილობრივ ორგანოებთან, ნაცვლად არსებული მუშათა დამზღვევ თათბირებისა, მოეწყობიან საბიუჯეტო კომისიები.

ჯანმრთელობის აღნიშნულ ადგილობრივ ორგანოებთან საბიუჯეტო კომისიები დაარსდებიან ჯანმრთელობის განყოფილების გამგის (ან მისი მოადგილის) თავმჯდომარეობით და სათანადო აღმასრულებელი კომიტეტისა, დამზღვევი სალაროს და სამაზრო პროფესიონალურ კავშირთა ბიუროს თითო წარმომადგენელის შემადგენლობით, ხოლო ჯანმრთელობის აღნიშნულ სახალხო კომისარიატებთან საბიუჯეტო კომისიები მოეწყობიან —ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლისა (კომისიის თავმჯდომარე) და სოციალური დაზღვევის ორგანოებისა და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს თითო წარმომადგენლის შედგენილობით.



დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ფონდის გეგმებსა და ხარჯთ-აღრიცხვებს აღნიშნული კომისიები წარუდგენენ დასამტკიცებლათ სათანადო სახალხო კომისართა საბჭოებს (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს) ან აღმასრულებელ კომიტეტებს—კუთვნილებსისამებრ.

6. სრულიად საქართველოს დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ფონდის ხარჯვის გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად—საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან მოეწყობა, ნაცვლად მუშათა-დამზღვევი თათბირისა, რესპუბლიკანური საბიუჯეტო კომისია—ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლისა (კომისიის თავმჯდომარე) და სოციალური დაზღვევის ორგანოებისა და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენელთა შედგენილობით.

სრულიად საქართველოს დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების სათანადო ფონდის გეგმასა და ხარჯთ-აღრიცხვას დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, რომელიც აგრეთვე გადასწყვეტს ყველა სადავო საკითხს ამ გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის გამო.

7. დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ფონდის ხარჯთ-აღრიცხვაზე გავრცელება საბიუჯეტო დისციპლინის ყველა წესი; ამასთანავე ხარჯთ-აღრიცხვის შეცვლა არ შეიძლება სათანადო დამზღვევი ორგანოს თანხმობისა და სათანადო სახალხო კომისართა საბჭოს (სამხრეთ-ოსეთის ავტონ. ოლქში—ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის) ან სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის დასტურის გარეშე.

8. დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ფონდის აღსრულებითი ხარჯთ-აღრიცხვა განიხილება იმავე საბიუჯეტო კომისიაში და დასამტკიცებლად წარედგინება სათანადო სახალხო კომისართა საბჭოს (სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში—ცენტრ. აღმ. კ-ტს) ან სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს—კუთვნილებსისამებრ.

9. პასუხისმგებლობა დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ადგილობრივ მოწყობისა და დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ფონდის დამტკიცებული ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად ხარჯისათვის დაეკისრება აფხაზეთის სსრ-სა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-სა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის სახალხო კომისარებსა და ჯანმრთელობის სათანადო განყოფილების გამგეს.

10. საქართველოს სსრ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს დაევალება—საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან და პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, წარუდგინოს ორი თვის განმავლობაში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად რესპუბლიკანური საორიენტაციო ნორმები დაზღვეულთა უფასო სამკურნალო დახმარებისა.

აფხაზეთის სსრ-სა, აჭარისტანის ავტონომიურ სსრ სახალხო კომისართა საბჭოები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, აგრეთვე ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები, რეს-



პუბლიკანური საორიენტაციო ნორმების თანახმად, დააწესებენ, ჯანმრთელობის ადგილობრივი ორგანოების წარდგენით და ადგილობრივი პირობების მიხედვით, დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ადგილობრივ ნორმებს. ამ ნორმების პროექტს ჯანმრთელობის ორგანოები შეუთანხმებენ შრომისა და პროფესიონალურ კავშირთა ადგილობრივ ორგანოებს.

11. ყოველ დავას ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატსა, შრომის სახალხო კომისარიატსა და შრომის და ჯანმრთელობის ადგილობრივ ორგანოებ შორის—დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ნორმებისა, ამ ნორმების შეფარდებისა, სამკურნალო დახმარების ხარჯთ-აღრიცხვისა და ამ ხარჯთ-აღრიცხვის შესრულების საკითხების გამო—გადასწევებს სახალხო კომისარიატსა ან სათანადო აღმასრულებელი კომიტეტი.

12. დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების გასაუქმებელი განყოფილებებისა, ქვეგანყოფილებისა და თანაგანყოფილების საშტატო ერთეულს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი და ჯანმრთელობის ადგილობრივი ორგანო გამოიყენებს თავისი აპარატის სათანადო ფუნქციონალური ნაწილის განმტკიცებისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს წარმატებითი მუშაობა დაზღვეულთათვის მოსამსახურეობის გაწევისა და დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების ფონდის სათანადო აღნუსხვის საქმეში.

13. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცეს, ორი კვირის ვადაზე, ჯანმრთელობის ადგილობრივი ორგანოების სახელმძღვანელოდ ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

სრულიად საქართველოს საბჭოთა

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის

საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. ივლისის 4

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია ვახ. „კომუნისტის“ 172 №-ში 1927 ივლისის 31.

## 98. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 60 ც. ა. ქ. და ს. ქ. ს.

**ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელ სადგომების ქირის შესახებ.**

რათა არსებული საბინაო ფონდი დაცულ იქნეს და საბინაო ქირა დაუახლოვდეს ისეთ რაოდენობას, რაც საჭიროა საბინაო მეურნეობის ხარჯების ასანაწილურებლად, სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტი და სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო, თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—ქალაქებში საბინაო ქირისა და ბინების სარგებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ 1926 წლ. ივნისის 4-ს თარიღით გამოცემული დადგენილებისა (სსრ კავშირის კანონთა კრებული 1926 წლ. № 44, გვ. 312)—ადგენენ:

1. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში ბინის ქირას დააწესებს ქვემოაღნიშნული მუხლების საფუძველზე.

2. ყველა ის პირი, რომელსაც უჭირავს საცხოვრებელი სადგომი, როგორც ნაციონალიზაცია და მუნიციპალიზაციაქმნილ ფლობელობაში (მიუხედავად იმისა, თუ ვის მართვა გამოეგობა იგი გადაცემული), ისე კერძო ფლობელობის სახლებში, ვალდებულია გადაუხადოს სახლის სამოურავოს (სახლის მფლობელს, საბინაო ამხანაგობის გამგეობას, სახლის მმართველს და სხვ.) ბინის ქირა თანახმად სამაზრო აღმასკომის დადგენილებისა, რომელი დაგენილებაც გამოცემულ იქნება ამა დადგენილების საფუძველზე.

**შენიშვნა.** ეს დადგენილება არ გავრცელდება სასტუმროებზე, ახლად აგებულ, დამთავრებულ და აღნაგობის ხელშეკრულებით აღდგენილ სახლებზე და აგრეთვე იმ სადგომებზე, რომელნიც საკურორტო ადგილას მისულთ სეზონის განმავლობაში უჭირავთ.

3. ბინის ქირა გამოიანგარიშება მხოლოდ საცხოვრებლად ვარგისი სივრცის მიხედვით (სამაზარეულო, წინა მისავალი ოთახი, დერეფანი, აბაჯანა და სხვ. ანგარიშში არ მიიღება).

4. ბინის ქირის განაკვეთი დაწესდება თვითეულ კვადრატულ მეტრზე თვეში.

5. იმ მუშა-მოსამსახურეთათვის, რომელნიც თვეში 125 მანეთს იღებენ, დაწესდება ბინის ქირის მინიმუმი—3 კაპ. (იმათთვის, ვინც 20 მანეთზე ნაკლებს იღებს) და მაქსიმუმი—28 კაპ. თვითეულ კვადრატულ მეტრზე თვეში.

იმ პირთათვის, რომელნიც თვეში 125 მან. მეტს იღებენ. საბინაო ქირის განაკვეთი დაწესდება შემდეგი რაოდენობით: ყოველ 25 მანეთზე, 275 მანეთამდის, 125 მანეთისათვის დაწესებულ განაკვეთს დაემატება 3 კაპ., ხოლო 275 მან. ზევით—4 კაპ. მეტრზე.

6. ბინის ქირის გამოანგარიშების დროს სათვალავში არ მიიღება მუშა-მოსამსახურის ზედმეტი და ნაჭრობით მუშაობის სასყიდელი და არც იმ პირთა

სპეციალური დატვირთვის გასამრჯელო, რომელნიც შრომის ხელფასს პასუხისმგებელ მომუშავეთა ტარიფით იღებენ.

**შენიშვნა.** სამხედრო მოსამსახურენი ბინის ქირას გადაიხდიან ძირითადი განაკვეთის მიხედვით.

7. ის პირი, რომელიც სამუშაო ხელფასს პერსონალური თუ სპეციალური განაკვეთით იღებს, ან შეთავსებით მუშაობს რამდენიმე დაწესებულებაში, ან და რომელსაც, სასამსახურო სამუშაო ხელფასის გარდა, აქვს თავისუფალი პროფესიის შემოსავალი (მე-16 მუხლის შენიშვნა), აგრეთვე ის პირი, რომელიც თავისი მტკიცე განაკვეთის დამატებად იღებს განსაზღვრულ მუდმივ სადასატვირთო გასამრჯელოს—ტანტიემას, საკომისიო და პროცენტულ ანარიცხს—ბინის ქირას გადაიხდის მთლად თავისი საერთო თვიური სამუშაო საშოვარის რაოდენობის მიხედვით, მხოლოდ რათა იგი ბინის ქირის გადახდის მხრივ გათანასწორებულ იქნეს მე-5 მუხლში აღნიშნულ პირებთან, საბინაო ქირას გადაიხდის შემდეგის მონაკლებით საერთო თვიურ საშოვარზე: ვინც იღებს 100 მანეთამდე, მოაკლდება 15<sup>0</sup>/<sub>100</sub>, 100-125 მ-დე—20<sup>0</sup>/<sub>100</sub>, 125-150 მანეთამდე—25<sup>0</sup>/<sub>100</sub> და 150 მანეთს ზევით—30<sup>0</sup>/<sub>100</sub>.

8. წინა მუხლებში ჩამოთვლილი პირნი მოვალენი არიან თავის დროზე წარუდგინონ სახლის სამოურაოს შესაფერი ცნობები მათი სამუშაო ხელფასის რაოდენობის შესახებ.

9. უმუშევარი, რომელიც პროფკავშირის წევრია, ან რომელსაც აქვს სოციალური დაზღვევის უფლება, გადაიხდის ბინის ქირის მინიმუმს.

10. მარტახელა მუშა, დღიური მუშა, ბინაზე მომუშავე პირი, მუსიკოსი, კერძო მასწავლებელი და სხვ., ვისაც მუდმივი სამუშაო არა აქვს, ქირას გადაიხდის:

ა) პროფკავშირის წევრი—პროფკავშირის წევრად მყოფი სათანადო კვალიფიკაციის მუშების თანაბრად კავშირის ცნობის მიხედვით;

ბ) არა-წევრი პროფკავშირისა—სახლის სამოურაოსთან შეთანხმებით, ხოლო არა უმეტეს 45 კაპიკისა.

11. სასარეწაო და შრომის არტელის წევრი ქირას გადაიხდის:

ა) ვინც მხოლოდ განსაზღვრულ სამუშაო ხელფასს იღებს, გადაიხდის ისე, როგორც დაქირავებით მომუშავე პირი;

ბ) ვისაც არა აქვს განსაზღვრული მტკიცე სამუშაო ხელფასი—სახლის სამოურაოსთან შეთანხმებით, ხოლო არა უმეტეს 45 კაპიკისა.

12. შინამრეწველი და ხელოსანი, რომელიც შინამრეწველთა და ხელოსანთა საზოგადოების წევრად ირიცხება, ქირას გადაიხდის:

ა) ვისაც დაქირავებული მუშა არა ჰყავს ან ჰყავს მხოლოდ ერთი მუშა—სახლის სამოურაოსთან შეთანხმებით, ხოლო არა უმეტეს 45 კაპიკისა;

ბ) ვისაც ერთზე მეტი დაქირავებული მუშა ჰყავს—სახლის სამოურაოსთან შეთანხმებით, ხოლო არა უმეტეს 70 კაპ.

13. შინამრეწველი და ხელოსანი, რომელიც შინამრეწველთა და ხელოსანთა საზოგადოების წევრად არ ირიცხება და რომელიც დაქირავებულ შრო-



მას იყენებს და ერთ მუშაზე მეტი ჰყავს, — ქირას გადაიხდის სახლის სამოურაოსთან შეთანხმებით, ხოლო არა უმეტეს 1 მან. 20 კაპ.

14. ის პირი, რომელიც სოციალურ უზრუნველყოფაზე ირიცხება და არსებობის სხვა წყარო არ მოეპოვება, წითელ-არმიელის ოჯახი, რომელსაც სამხედრო სამსახურში გაწვევამდე წითელარმიელი ინახავდა და რომელსაც ამჟამად არა აქვს დამოუკიდებელი შემოსავლის წყარო, მოსწავლე, რომელსაც სახელმწიფო სტიპენდია ეძლევა, აგრეთვე ის მოსწავლე, ვისაც სტიპენდია არ ეძლევა, მაგრამ სწავლის ფულისაგან განთავისუფლებულია — გადაიხდის ბინის ქირის მინიმუმს.

**შენიშვნა.** პენსიონერები, რომელთა თვიური პენსია 20 მანეთს აღემატება, ქირას გადაიხდის ამა დადგენილების მე-5 მუხლის თანახმად.

15. ის მოსწავლე, რომელსაც მშობლები ან სხვა ვინმე ინახავს, ხოლო სულ ცალკე სცხოვრობს და არც სწავლის ფულისაგან არის განთავისუფლებული, გადაიხდის 10-15 კაპიკამდე.

**შენიშვნა.** მოსწავლის ის საშოვარი, რასაც იგი დღიური მუშაობით ან გაკვეთილებით (რეპეტიტორობა და სხვ.) მიიღებს — ბინის ქირის რაოდენობის გამოანგარიშების დროს სათვალავში არ მიიღება.

16. თავისუფალი პროფესიის პირი (ექიმი, ინჟინერი, დამცველთა კოლეგიის წევრი და სხვ.), რამდენადაც მას ამა დადგენილების მე-5 ზე მე-17 მუხლი არ მიუდგება, ქირას გადაიხდის სახლის სამოურაოსთან შეთანხმებით, ხოლო არა უმეტეს 1 მან. 20 კაპ.

**შენიშვნა.** თავისუფალი პროფესიის პირი შეიძლება მიეკუთვნოს გადახდელთა კატეგორიას მე-5 მუხლისა და სათანადო შემთხვევაში მე-7 მუხლის თანახმად მხოლოდ იმ პირობით, უკეთეს მისი შემოსავლის წყაროს მარტოოდენ დაქირავებული შრომა შეადგენს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც თავისუფალი პროფესიის პირს, გარდა სახელმწიფო სამსახურისა, აქვს გარეშე საშოვარი, ხოლო საშემოსავლო გადასახადს სამსახურის ხელფასისა და გარეშე საშოვარის საერთო რაოდენობის მიხედვით მე-9 კატეგორიაზე მეტს არ იხდის.

17. ის პირი, რომელნიც არა შრომის შემოსავლით სცხოვრობენ, ქირას გადაიხდიან: პირველი ხარისხის პატენტის ამლეები — არა უმეტეს 10 კაპიკისა, ხოლო დანარჩენები — სახლის სამოურაოსთან შეთანხმებით, მაგრამ არა უმეტეს 1 მან. 20 კაპ.

**შენიშვნა 1.** არა შრომის შემოსავლით ითვლება: შემოსავალი სავაჭრო-სამრეწველო საწარმოში მონაწილეობისა, ვაჭრობისა, ნარდად მუშაობისა, სამაკლურო, საბირჟო და საკომისიო ოპერაციებისა; ქონების კომერციული მიზნით (ე. ი. მოგების მიღების მიზნით) საიჯარო სარგებლობაში გაცემისა და ფასიანი ქაღალდების დივიდენდისა (სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის დებულების 13 მუხ.)

**შენიშვნა 2.** ამა მუხლში ჩამოთვლილი პირნი მოვალენი არიან წარუდგინონ სახლის სამოურაოს პატენტი ასლით. ამასთანავე დედანი დაე-

ბრუნება გადამხდელს, ხოლო ასლი სახლის სამოურაოს საქმეებში დარჩება.

18. ნახევრად სარდაფის სადგომისათვის, რომლის იატაკიც 0,5 მეტრზე უფრო დაბლაა, ვიდრე მიწის დონე, ისეთი ოთახისათვის, რომელიც მოკლებულია გარედან სინათლეს ზე სასხვენე სადგომისათვის ქირა გადახდილ უნდა იქნეს დაწესებულ ტარიფზე 50%-ით ნაკლები; ნახევრად-სარდაფის სადგომისათვის, რომლის იატაკიც 0,5 მეტრზე ნაკლებ დაბლაა მიწის დონეზე, ქირა გადახდილ უნდა იქნეს ნორმალურ ტარიფზე 25%-ით ნაკლები.

იმ გასაველელ ოთახისათვის, რომელზედაც დამქირავებლისათვის უცხო მცხოვრებნი დადიან, ზემოაღნიშნული კატეგორიის პირნი გადაიხდიან ძირითადი ქირის 50%-ს.

19. ბინის ქირის რაოდენობა 5—12 და 14—16 მუხლით გათვალისწინებულ პირთათვის ისეთ სახლში, რომელიც ქალაქის განაპირად მდებარეობს, შემცირდება  $\frac{1}{3}$ -ით.

**შენიშვნა.** ქალაქების ცენტრად და განაპირა ადგილებად დაყოფას დამატკიცებს სათანადო საბჭო.

20. დამქირავებელი გადაიხდის ქირას ზემოაღნიშნული ტარიფის მიხედვით იმ საცხოვრებელი სივრცისათვის, რაც უჭირავს მას ან მის მზრუნველობაზე მყოფ პირებს, თვითეულ სულზე 12 კვადრატული მეტრის ფარგალში. იმ სივრცისათვის, რაც თვითეულ სულზე დაწესებული 12 კვ. მეტრს აღემატება, ქირას დამქირავებელი გადაიხდის ნორმალურ ტარიფზე 25%-ს დამატებით.

**შენიშვნა 1.** იმ ზედმეტი სივრცისათვის, რაც საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლ. სექტემბრის 26-ს დეკრეტის მე-9 მუხლის შენიშვნის თანახმად ზოგიერთი კატეგორიის მოსამსახურეთ უჭირავთ 15 კვ. მეტრის ფარგლებში, ქირას აღნიშნული მოსამსახურენი გადაიხდიან ძირითადი სივრცისათვის დაწესებული ნორმის მიხედვით.

**შენიშვნა 2.** იმ პირთა სიას, რომელთაც აქვთ უფლება კაბინეტი იქონიონ, დააწესებს ადგილობრივი აღმასკომის კომუნალური განყოფილება სათანადო ორგანიზაციასთან შეთანხმებით.

21. ბინის ქირის რაოდენობა იმ ოთახისათვის ან ოთახების იმ ჯგუფისათვის, რაც ერთ ოჯახს უჭირავს, დაწესდება ოჯახის იმ წევრის მიხედვით, რომელიც დაიბეგრება ბინის ქირის უმაღლესი განაკვეთით.

**შენიშვნა 1.** ის ოჯახი, რომლის რამდენიმე წევრიც მუშაობს, მოვალეა წარუდგინოს სახლის სამოურაოს ცნობა თვითეული მომუშავეის საშოვარის შესახებ.

**შენიშვნა 2.** ხელზე მოსამსახურის მიერ დაქერილი საცხოვრებელი სივრცის ქირას იხდის ხსენებული მოსამსახურის დამქირავებელი საკუთარი განაკვეთის მიხედვით.

22. უკეთუ ერთ ოთახში სცხოვრობს რამდენიმე არა ერთი ოჯახის პირი,

თვითეულ მათგანს მიეკუთვნება ამ ოთახის განსაზღვრული ნაწილი და უნდა გადაიხადოს ამ ნაწილის ჭირა თავისი განაკვეთის მიხედვით.

**შენიშვნა.** ამა მუხლის წესი არ გავრცელდება დროებით მცხოვრებზე.

23. ამა დადგენილებით დაწესებულ ბინის ჭირის ნორმაში არ შედის კომუნალური მომსახურების საფასური (წყალი, განათება), რაც გადახდება დამქირავებელს სამისოდ დადგენილი წესისამებრ.

24. 5—12 და 14—16 მუხ. აღნიშნულ პირს, უკეთეს მის ოჯახში ოთხ წევრზე მეტია, თვითეულ წევრზე ამ ოთახის ზევით მიეცემა შეღავათი 10%-ს რაოდენობით, ხოლო საერთო შეღავათი 30%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

25. სადგომის ჭირა 5—12 და 14—16 მუხ. ჩამოთვლილ პირთ შეაქვთ არა უგვიანეს გადახდის თვის მომდევნო თვის 15-ს რიცხვისა, ხოლო დანარჩენებს—არა უგვიანეს მიმდინარე გადახდის თვის 15-ისა.

26. 5—12 და 14—16 მუხ. ჩამოთვლილ პირთა მიერ ორი თვის განმავლობაში და დანარჩენ მოქალაქეთა მიერ ერთი თვის განმავლობაში ბინის ჭირის გადაუხდელობა გამოიწვევს მათ გამოსახლებას მათ მიერ დაქერილი სადგომებიდან სასამართლოს წესით სამოქალაქო სამართლის კოდექსის 171 მუხლისამებრ.

**შენიშვნა.** ბინის ჭირის ვადაზე გადაუხდელობა (მუხ. 25—26) მუშა-მოსამსახურეთა მიერ სამუშაო ხელფასისა, დახმარებისა და სხვ. დროზე მიუღებლობის გამო, უკეთეს ეს გარემოება სათანადოდ იქნება დადასტურებული, არ გამოიწვევს ბინიდან გამოსახლებას.

27. ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოიღებამდე საცხოვრებელი სადგომის დაქირავების შესახებ დადებული წერილობითი ხელშეკრულება, უკეთეს მხარენი მოითხოვენ, შეიძლება გადასინჯულ იქნეს იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ბინის ჭირის რაოდენობას, მის შესათანხმებლად ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებებთან.

28. უკეთეს დამქირავებელსა და სახლის სამოურაოს შორის არ იქნება მიღწეული შეთანხმება ისეთ შემთხვევაში, როდესაც ბინის ჭირის რაოდენობა ამა დადგენილების ძალით შეთანხმებით უნდა განისაზღვროს,—აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა ბინის ჭირის რაოდენობა ამა დადგენილებით გათვალისწინებული არ არის—ბინის ჭირის რაოდენობა განისაზღვრება დამქირავებლის ნივთიერი მდგომარეობის მიხედვით.

**იმ საცხოვრებელი სადგომების ჭირა, რომელიც სავაქრო-სამრეწველო ხასიათის დაწესებულებას და საწარმოს უჭირავს.**

29. სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულება და სოც. დაზღვევის ორგანო გადაიხდის თვეში თვითეულ კვადრატულ მეტრზე არა ნაკლებ 20 კაპ. და არა უმეტეს 40 კაპიკისა.

30. სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო და აგრეთვე ის კერძო დაწესებულება და საზოგადოება, რომელიც კომერ-



ციულ მიზანს არ მისდევს, ქირას გადაიხდის სახლის სამოურაოსთან შეთანხმებით, ხოლო არა ნაკლებ 30 კაპ. და არა უმეტეს 1 მან. კვ. მეტრზე.

31. პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაცია ქირას სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი სახელმწიფო დაწესებულებების განაკვეთით გადაიხდის, ხოლო კოოპერატიული ორგანიზაცია—სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სახელმწიფო დაწესებულების განაკვეთით.

32. სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატის დაწესებულება ქირას თვითეულ კვადრატულ მეტრზე გადაიხდის 20 კაპ. ანგარიშით.

33. ზემოაღნიშნული განაკვეთებით სადგომის ქირა განსაზღვრულია მართოდენ იმ სივრცისათვის, რაც დაწესებულებას სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის სექტემბრის 26-ს დეკრეტის მე-9 მუხლით დაწესებულ ნორმის ფარგალში უჭირავს; ზედმეტი სივრცისათვის, რაც დაწესებულებას ნორმის გარეშე უჭირავს, ქირა გადახდილ უნდა იქნეს ერთი-ორად.

34. დადგენილება ესე არ გავრცელდება ქ. ტფილისზე, რომლისათვისაც უკვე დამტკიცებულია დებულება საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ და აგრეთვე მოკავშირე აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქებზე და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებზე, რომლებსათვისაც საბინაო ქირის დებულებას შეიმუშავებენ და დაამტკიცებენ აღნიშნული რესპუბლიკებისა და ოლქის სათანადო ორგანოები.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარ-  
თა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. ივლისის 4.  
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 190 და 191 №-ში 1927 წ. აგვისტოს 23 და 24.

**99. დადგენილება № 61 ც. ა. კ. და ს. კ. ს.**

საცხოვრებელი სადგომების თაობაზე 1923 წლ. სექტემბრის 26-ის დეკრეტის მე-11 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო  
ა დ გ ე ნ ე ნ:



„საცხოვრებელი სადგომების შესახებ“ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წლ. სექტემბრის 26-ის თარიღით გამოცემული დეკრეტის მე-11 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 11. ბინის ქირას (ტარიფს) განსაზღვრავს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ქირის შესახებ“ გამოცემული დადგენილების საფუძველზე, ქალაქ ტფილისის გამოკლებით, სადაც ბინის ქირას განსაზღვრავს ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი და დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. ივლისის 4.  
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 182-№-ში 1927 წ. აგვისტოს 12.

## 100. დადგენილება № 62 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების და ქალაქის საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების და ქალაქის საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების შესახებ.

2. პირველ მუხლში აღნიშნული დებულების შემოღებისთანავე გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის მაისის 4-ის დეკრეტით დამტკიცებული დებულება სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის წესისა და მათი დარღვევისათვის აღმინისტრაციული წესით დასჯის შესახებ (კან. კრ. 1923 წ. №-რი 1-ლი, მუხ. 17) და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წ. ივნისის 22-ის თარიღისა და მე-40 ნომრის დადგენილება ამ დებულების დამატების შესახებ (კან. კრ. 1926 წ. მე-3 №-რი, მუხ. 68).

3. წინადადება მიეცეს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს, აგრეთვე იმ უწყებათ, რომელთა სავალდებულო დადგენილებანი დამყარებულია 1923 წ. მაისის 4-ის დებულებაზე, ერთი თვის ვადაზე გამოაქვეყნონ იმ სავალდებულო დადგენილებათა სიები, რაც გაუქმებულ ან შეცვლილ იქნება ამასთანავე დართულ დებულებასთან შეფარდებით.

4. იმ პირთ, რომელთაც გადასახდელი 1923 წ. მაისის 4-ის დებულების თანახმად გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის დაედოთ, ხოლო საამისო დადგენილება ჯერ შესრულებული არ არის ან შესრულების სტადიაშია, ეს გადასახდელი, უკეთეს იგი ამასთანავე დართული დებულების მე-4 მუხლით დაწესებულ გადასახდელს აღემატება, შეუმცირდეთ იმ უმაღლეს საზღვრამდე, რაც სათანადო გათვალისწინებულია მე-14 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში.

ამა მუხლში აღნიშნული ღონისძიების შეფარდება დაეკისრება იმ ორგანოს, რომლის დადგენილებითაც გადაწყვეტილია გადასახდელი, და ასრულებულ იქნება როგორც ამ ორგანოთა თაოსნობით, ისე აღმასრულებელ ორგანოთაგან მიღებული ცნობებისამებრ.

5. დაევალოს აფხაზეთის სსრ-სა და აჭარისტანის ავტონომიურ სსრ-ს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ, ამა დადგენილებით დამტკიცებული დებულების საფუძველზე და ადგილობრივი პირობების მიხედვით, სათანადო დებულება.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი გამოსცემს სათანადო დებულებას, რასაც შემდგომში დამტკიცებისათვის წარუდგენს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.



## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების და ქალაქის საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის აღმინისტრაციული წესით გადასახდელის დადების შესახებ.

## კ ა რ ი I.

სავალდებულო დადგენილებათა გამოცემა.

1. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს და მის პრეზიდიუმს, აგრეთვე ქალაქის საბჭოსა და მის პრეზიდიუმს უფლება აქვს გამოსცეს სათანადო ტერიტორიის ფარგლებში სავალდებულო დადგენილება ამა დებულებით გათვალისწინებული საფუძვლითა და წესით.

**შენიშვნა.** კითათურისა, ხაშურისა, ბორჯომისა და სიმტრედიის ქალაქის საბჭოები გამოსცემენ სავალდებულო დადგენილებებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1926 წლის ივნისის 22-ს დამტკიცებული დებულების („სათემო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის აღმინისტრაციული გადასახდელის დადების წესის შესახებ“) საფუძველზე.

2. აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებას და სხვა ადგილობრივ დაწესებულებას უფლება არა აქვს სავალდებულო დადგენილება გამოსცეს, ხოლო, უკეთეს ეს საკირო იქნება, უნდა სთხოვოს სათანადო სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს ან ქალაქის საბჭოს, რათა მათ გამოსცენ ასეთი დადგენილება.

2. აღმასრულებელ კომიტეტს და ქალაქის საბჭოს უფლება არა აქვს სავალდებულო დადგენილების გამოცემა მიანდოს თავის ქვემდებარე დაწესებულებას ან თავისი უფლება სავალდებულო დადგენილების გამოცემისა ქვემდგომ აღმასრულებელ კომიტეტს გადასცეს.

4. სავალდებულო დადგენილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ კანონმდებლობას და სახალხო კომისარიატების დადგენილებებს, ინსტრუქციებს და სხვა აქტებს, და არ უნდა იმეორებდეს აღნიშნული აქტების შინაარსს.

5. სავალდებულო დადგენილება შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ იმ საკითხების მოწესრიგებას, რაც გათვალისწინებულია ამა დებულების მე-6 მუხლში, და აგრეთვე იმ საკითხებსაც, რის შესახებ სავალდებულო დადგენილების გამოცემის უფლებაც სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს ან ქალაქის საბჭოს მინიჭებული აქვს განსაკუთრებული კანონით.

6. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს და მის პრეზიდიუმს, აგრეთვე ქალაქის საბჭოსა და მის პრეზიდიუმს უფლება აქვს გამოსცეს სავალდებულო დადგენილება:

ა) რევოლიუციონური წესრიგისა და უშიშროებისა, და აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვისათვის; ბ) ხანძრის საწინააღმდეგო

ლონისძიებათა განხორციელებისათვის; გ) სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის; დ) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და გადამდებ და სოციალურ სნეულებასთან ბრძოლისათვის; ე) საქონლის ჭირთან (ეპიზოტისათან) და მანუბლებთან ბრძოლისათვის; ვ) თეატრებისა, კინოებისა, კლუბებისა, სათამაშოების დაწესებულებათა და სხვ. გახსნისა და მოქმედების წესისათვის; ზ) საზოგადო საყოველთაო სარგებლობის ადგილებში (სასადილოებში, რესტორანებში, ტრასტირებში, საჩაიებში, სასტუმროებში, ღამის გასათევ სახლებში, აბანოებში, საბანაო ადგილებში, საპარკმახეროებში და სხვ.), ხოლო ქალაქად, ამის გარდა, — საცხოვრებელ სადგომებში, ეზოებში და ქუჩებში სანიტარული პირობების დაცვისათვის, კიბეებისა და სახლის ფასადზე სახლის ნომრების განათებისათვის და აგრეთვე სარდაფების გასაშრობად ღონისძიების მიღებისათვის; თ) ისეთი შენობის ან მისი ცალკე ნაწილის შეკეთებისა, აღდგენისა ან დანგრევისათვის, რომელიც შეიძლება ჩამოინგრეს, და აგრეთვე სახურავიდან თოვლის ჩამოხვეტისათვის; ი) ქალაქებში ტროტუარებისა, მოკირწყლოლი ქუჩებისა, წყალსადენის ქსელისა და წყლის გასაშვები მილების შეკეთებისა და შენახვისათვის, აგრეთვე ქალაქად და სოფლად წყალსათავსი აუზების სანიტარული დაცვისათვის; კ) ტყეებისა და მცენარეებით დარგულ ადგილებისა, მინდვრებისა და ნათესების დაცვისათვის მტაცებლობისა, განადგურებისა და წახდენი-გაფუჭებისაგან; ლ) ვაჭრობის წარმოების დროისა და წესისათვის, იარაღუკებსა, ბაზრებსა და სხვა სავაჭრო ადგილას წესრიგის დამყარებისათვის; მ) გამვლელი ჯარების დაბინავებისათვის.

7. სავალდებულო დადგენილება შეიძლება გამოიცეს ვადით არა უმეტეს ერთი წლისა, მისი სამოქმედოდ შემოღების დღიდან. ამ ვადის გასვლის შემდეგ სავალდებულო დადგენილება ძალასა ჰკარგავს, უკეთუ მას კვლავ არ დაადასტურებს და ხელახლა არ გამოაქვეყნებს ის ორგანო, რომელმაც იგი გამოსცა.

8. სავალდებულო დადგენილებას ხელს მოაწერს აღმასრულებელი კომიტეტის ან ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე და მდივანი, რის შემდეგაც იგი უნდა გამოქვეყნებულ იქნეს საყოველთაო ცნობისათვის.

9. ყოველ სავალდებულო დადგენილებაში აღნიშნულ უნდა იქნეს ის ტერიტორია, რომელზედაც იგი ვრცელდება; ამასთანავე დადგენილება შეიძლება ვრცელდებოდეს როგორც მთლად შესაფერ ტერიტორიაზე, ისე მის ნაწილზე, რაც ვარკვევით უნდა აღინიშნოს დადგენილებაში.

10. სავალდებულო დადგენილებაში აღნიშნულ უნდა იქნეს მისი ძალაში შესვლის ვადა. ეს ვადა ორ კვირაზე ნაკლები არ უნდა იყოს დღიდან სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნებისა იმ ადგილას, რომელზედაც ეს დადგენილება ვრცელდება, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც გარემოება მოითხოვს განსაკუთრებულ სისწრაფეს, მაგალითად, გამვლელი ჯარების დაბინავება, ბრძოლა სტიქიურ უბედურებასთან, ეპიდემიისთან, საქონლის ჭირთან (ეპიზოტისათან.)

11. სავალდებულო დადგენილებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს აღმი-

ნისტრატული თუ სასამართლო წესით აგებს პასუხს სავალდებულო დადგენილების დამრღვევი. ორივე შემთხვევაში აღნიშნულ უნდა იქნეს ის გადასახდელი, რაც შეიძლება დაედოს სავალდებულო დადგენილების დამრღვევს (მ. მ. 15—17).

12. სავალდებულო დადგენილება ვრცელდება როგორც კერძო პირებზე, ისე სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოზე და საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე; ამასთანავე სათანადო თანამდებობის პირი პასუხს აგებს ადმინისტრაციული წესით ისევე, როგორც კერძო პირი.

13. სავალდებულო დადგენილების ასლი სამი დღის ვადაზე დღიდან ხელისმოწერისა უნდა წარედგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

14. ინსტრუქცია სავალდებულო დადგენილების შეფარდებისათვის იმ აღმასრულებელმა კომიტეტმა უნდა გამოსცეს და ქალაქის საბჭომ, რომელმაც სათანადო სავალდებულო დადგენილება გამოსცა.

## პ ა რ ი II.

### გადასახდელის დადება ადმინისტრაციული წესით.

15. ამ დებულებით გათვალისწინებული სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავეს დაენიშნება:

ა) სათანადო სოციალური დაცვის ღონისძიება სასამართლო წესით, უკეთეს პასუხისმგებლობა სასამართლო წესით გათვალისწინებულია საქ. სოც. საბჭ. რესპ. სისხლის სამართლის კოდექსით;

ბ) ადმინისტრაციული გადასახდელი სათანადო ორგანოს დადგენილებით (მ. 22—24)—ყველა დანარჩენ შემთხვევაში.

16. სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით დაიდება ერთ-ერთი შემდეგი გადასახდელი:

ა) გაფრთხილება;

ბ) ჯარიმა;

გ) იძულებითი მუშაობა;

დ) დატუსაღება.

17. ადმინისტრაციული გადასახდელის უკიდურესი ზომა, რაც შეიძლება სავალდებულო დადგენილებით იქნეს გათვალისწინებული, შემდეგია:

ა) ქალაქებისათვის ჯარიმა ას მანეთამდე, იძულებითი მუშაობა ან დატუსაღება ერთ თვემდე;

ბ) სოფლად—ჯარიმა ათ მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ერთ კვირამდე.

**შენიშვნა.** ადმინისტრაციული გადასახდელის უმაღლესი საზღვარი, რაც ამ მუხლით აღნიშნული, არ გავრცელდება იმ სავალდებულო დადგენილებებზე, რომელთა დარღვევისათვისაც გადასახდელი გათვალისწინებულია საქ. სოც. საბჭ. რესპ. სისხლის სამართლის კოდექსით სხვანაირი ზომით. ასეთ შემთხვევაში სავალდებულო დადგენილებაში სისწო-



რით უნდა აღინიშნოს ის გადასახდელი, რომელიც ნაჩვენებია სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლში.

18. დადგენილება სავალდებულო დადგენილების დამრღვევის გაფრთხილების შესახებ გამოიტანება იმ შემთხვევაში, უკეთეს ჯარიმისა, იძულებითი მუშაობის ან დატუსაღების შეფარდება მიზანშეწონილათ არ იქნება ცნობილი იმის გამო, რომ დარღვევა უმნიშვნელოა, რომ დამრღვევმა ეს უცოდინარობით ჩაიდინა და სხვ.

19. უკეთეს ჯარიმის გადახდევინება შეუძლებელ იქნება (სავალდებულო დადგენილების დამრღვევის ხელმოკლეობის გამო), ჯარიმა, იმ ორგანოს დადგენილებით, რომელმაც დაჯარიმება გადასწყვიტა, შეიძლება შეცვლილ იქნეს იძულებითი მუშაობად ისე, რომ ასი მანეთი ჯარიმისათვის დაიდოს ერთი თვის მუშაობა. იძულებითი მუშაობის ვადა, ყოველ შემთხვევაში, მე-17 მუხ. დაწესებულ ვადას არ უნდა აღემატებოდეს.

ჯარიმის დატუსაღებად შეცვლა არ შეიძლება.

20. იძულებითი მუშაობა არ შეიძლება შეეფარდოს იმ პირს, ვინც ცნობილია შრომის უნარმოკლებულად.

21. დატუსაღება სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის შეიძლება დაიდოს დაწყებული ერთი დღე და ლამიდან.

22. იმ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის, რაც გამოცემულია სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის და მისი პრეზიდიუმის მიერ ან ტფილისისა, ქუთაისისა, და გორის ქალაქის საბჭოებისა და მათი პრეზიდიუმების მიერ, ადმინისტრატიულ გადასახდელს გადასწყვეტს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის საადმინისტრაციო განყოფილების უფროსი, ხოლო იქ, სადაც ასეთი განყოფილება არ არსებობს, სამაზრო მილიციის უფროსი. ფოთის ქალაქის საბჭოს და აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის ადმინისტრატიულ გადასახდელს გადასწყვეტს ქალ. ფოთის მილიციის უფროსი.

23. სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ან მისი პრეზიდიუმის სავალდებულო დადგენილებით გადასახდელის დადება ამ დადგენილების დარღვევისათვის სოფლად შეიძლება მიენდოს მაზრის სათემო აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც გადასახდელს გადასწყვეტს იმ უფლების ფარგლებში, რაც მინიჭებული აქვს განსაკუთრებული დებულებით (დებულება სათემო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების წესის შესახებ. მუხ. 14, კან. კრ. 1926 წ. მე-3 №-რი, მუხ. 71).

24. ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტს და ტფილისის ქალაქის საბჭოს უფლება აქვთ იმ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის, რასაც იგინი ქ. ტფილისისათვის გამოსცემენ და რაც საზოგადო ადგილებში წესიერების დაცვას და ქუჩებში მოძრაობის მოწესრიგებას შეეხება (თუთუნის მოწვევას, პაპიროსის ნამწვევის გადაყრას, გაბინძურებას, ტრამვაისა, ავტომობილებისა, ეტლებისა, ყოველგვარი ეტლების მოძრაობის წესსა და სხვ.), თვით ამ დადგენილებით

დააწესოს ჯარიმის გადახდევინება, დარღვევის ადგილასვე. ამასთანავე საჭიროა, რათა ამ დადგენილებაში გარკვეულად აღინიშნოს როგორც თვით დარღვევა, ისე ჯარიმის რაოდენობაც, რაც ყოველ შემთხვევაში სამ მანეთს არ უნდა აღემატებოდეს.

ასეთ შემთხვევაში ჯარიმას გადახდევინებს ის მილიციის თანამშრომელი ან ის თანამდებობის პირი, რომელიც უშუალოდ თვალყურს ადევნებს აღნიშნული სავალდებულო დადგენილების აღსრულებას. ეს თანამდებობის პირნი გარკვევით აღნიშნულ უნდა იქნენ თვით სავალდებულო დადგენილებაში.

25. ოქმი სავალდებულო დადგენილების დარღვევის შესახებ შედგენილ უნდა იქნეს, ხოლო გამოკვლევა, თუ საჭიროა, მოხდება იმ საერთო წესით, რაც მიღებულია მოკვლევისათვის. ოქმს შეადგენს მილიცია, ხოლო სათანადო შემთხვევაში—ის ორგანო, რომელსაც ამის უფლება მინიჭებული აქვს სპეციალური კანონით. სოფლად ოქმის შედგენა შეუძლიან აგრეთვე თემალმასკომის წევრსაც.

**შენიშვნა.** ისეთ შემთხვევაში, რაც 24 მუხლშია აღნიშნული, ოქმის შედგენა საჭირო არ არის, უკეთეს სავალდებულო დადგენილების დამრღვევი ჯარიმას გადაიხდის; ხოლო, უკეთეს იგი ჯარიმას არ გადაიხდის, ოქმი შედგენილ იქნება საერთო წესისამებრ; ჯარიმის გადახდაზე უარის თქმა აღინიშნება ოქმში.

26. ოქმს ხელს მოაწერს ოქმის შემდგენი, სავალდებულო დადგენილების დამრღვევი და მოწმეები, უკეთეს ისინი არიან.

უკეთეს სავალდებულო დადგენილების დამრღვევი იუარებს ოქმზე ხელის მოწერას, ეს გარემოება და უარის მოტივი აღინიშნება ოქმში. ოქმზე ხელის მოუწერლობის უარი ვერ შეაჩერებს ოქმის წარმართვას.

**შენიშვნა.** სავალდებულო დადგენილების დამრღვევის წინააღმდეგ რაიმე აღმკვეთი ღონისძიების მიღება, რათა გადასახდელის მოხდისაგან თავის არიდების შესაძლებლობა მოესპოს, აკრძალულია.

27. ოქმი სავალდებულო დადგენილების დარღვევის შესახებ წარედგინება სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის საადმინისტრაციო განყოფილების უფროსს ან სამაზრო მილიციის უფროსს ან და ქალ. ფოთის მილიციის უფროსს—კუთვნილებისამებრ (მუხ. 22), რომელიც გადასწყვეტს საკითხს ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების შესახებ ან წარმართავს საქმეს სასამართლო წესით განსახილველად, უკეთეს სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა სასამართლო წესით (მუხ. 9), ან უკეთეს სავალდებულო დადგენილების დარღვევას თან მოჰყვა ისეთი ქმედობა, რისთვისაც დამნაშავემ პასუხი სისხლის სამართლის კოდექსით უნდა აგოს.

ამა დადგენილების მე-23 მუხ. გათვალისწინებულ შემთხვევაში სოფლად ოქმი სათანადო თემის აღმასრულებელ კომიტეტს წარედგინება.

**შენიშვნა 1.** უკეთეს სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს სამხედრო მსახური, რომელიც მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში მსახურობს, ოქმი სათანადო სამხედრო უფროსს გაეგზავნება; ეს უკანასკნელი მიიღებს

სადისციპლინო ზეგავლენის საჭირო ღონისძიებას მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სადისციპლინო წესდების მიხედვით, და დადებულ გადასახდელს აცნობებს იმ ორგანოს, რომელმაც მას სავალდებულო დადგენილების დარღვევა შეატყობინა.

**შენიშვნა 2.** უკეთუ სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს მცირეწლოვანი და არასრულწლოვანი—16 წლამდე, ოქმი გაეგზავნება არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას.

28. უკეთუ საქმე სავალდებულო დადგენილების დარღვევის შესახებ სასამართლომ თავის განსახილველად მიიღო, დამნაშავეს გადასახდელი ადმინისტრაციული წესით ველარ დაედება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლო საქმეს ადმინისტრაციული წესით განხილვისათვის წარმართავს.

29. დადგენილება ადმინისტრაციული წესით გადასახდელის დადების შესახებ შეიძლება გამოტანილ იქნას არა უგვიანეს სამი თვისა სავალდებულო დადგენილების დარღვევის დღიდან; ამ ვადის შემდეგ საქმე მოისპობა.

30. დადგენილება გადასახდელის დადების შესახებ უნდა იყოს წერილობითი.

დადგენილებაში აღნიშნულ უნდა იქნეს:

- ა) დადგენილების გამოტანის დრო—წელიწადი, თვე და რიცხვი;
- ბ) თანამდებობის პირი, რომელმაც დადგენილება გამოიტანა;
- გ) სავალდებულო დადგენილების დამრღვევის სახელი, მამის სახელი, გვარი, წლოვანება და სოციალური მდგომარეობა;
- დ) დარღვეული სავალდებულო დადგენილება;
- ე) მისი დარღვევის დრო და ადგილი;
- ვ) ის მოქმედება, რითაც დადგენილება დაირღვა;
- ზ) დადებული ადმინისტრაციული გადასახდელი.

დადგენილებას ხელს მოაწერს ის პირი, ვინც იგი გამოიტანა.

**შენიშვნა.** ის ქმედობა, რაც დამრღვევს ბრალდება, საგსებით უნდა შეეფერებოდეს იმ ქმედობას, რაც გათვალისწინებულია დარღვეულ სავალდებულო დადგენილებაში.

31. ასლი დადგენილებისა გადასახდელის დადების შესახებ უნდა ჩაბარდეს იმ პირს, რომელსაც გადასახდელი დაედო. თანაც უნდა გამოეცხადოს განსაჩივრების წესი და ვადა.

32. იმ პირს, ვისაც გადასახდელი დაედო, შეუძლიან შვიდი დღის ვადაზე დღიდან მისთვის ადმინისტრაციული გადასახდელის დადების თაობაზე გამოტანილი დადგენილების ასლის ჩაბარებისა, სთხოვოს ორგანოს, რომელმაც გადასახდელი გადაუწყვიტა, მის შესახებ გამოტანილი დადგენილების გადასინჯვა, ან და განასაჩივროს ეს დადგენილება, ამა დებულების 33—34 მუხლებით გათვალისწინებული წესისამებრ.

33. საჩივარი ადმინისტრაციული გადასახდელის შესახებ გამოტანილ დადგენილებაზე შეტანილ უნდა იქნეს: ა) უკეთუ სავალდებულო დადგენილება, რომლის დარღვევისათვისაც მომიჩივარს გადაწყვეტილი აქვს ადმინისტრაციული გა-



დასახდელი, გამოცემულია სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდენტის მიერ,—სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდენტში;

ბ) უკეთუ აღნიშნული სავალდებულო დადგენილება გამოცემულია ტფილისისა, ქუთაისისა და გორის ქალაქის საბჭოების და მათი პრეზიდენტების მიერ—შესაფერი ქალაქის საბჭოს პრეზიდენტში, ხოლო

გ) უკეთუ აღნიშნული სავალდებულო დადგენილება გამოცემულია ფოთის ქალაქის საბჭოს ან ფოთის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ,—ფოთის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდენტში.

34. საჩივარი შეიტანება იმ ორგანოს მეშვეობით, რომელმაც გადასახდელი გადასწევითა, ხოლო იგი წარადგენს ამ საჩივარს მთლად საქმითურთ, სამი დღის განმავლობაში, კუთვნილებისამებრ.

35. საჩივრისა ან დადგენილების გადასინჯვის შესახებ თხოვნის შეტანა შეაჩერებს გადასახდელის გადასწევტის დადგენილების აღსრულებას.

36. საჩივარი ამა დებულების 24 მუხ. წესით დადებული ჯარიმის უკანონობაზე, შეიდი დღის განმავლობაში დაჯარიმების დღიდან, შეიტანება პირდაპირ ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის სადმინისტრაციო განყოფილების უფროსთან.

37. უკანონოდ დადებული გადასახდელი გაუქმებულ ან შეცვლილ უნდა იქნეს, ხოლო, ამას გარდა, უკეთუ გადასახდელი წინასწარი შეცნობით უკანონოდ იყო დადებული, მისი დამდები თანამდებობის პირი პასუხისგებაში მიიციმას სისხლის სამართლის კოდექსის 109 მუხლის ძალით.

38. დადგენილებას ადმინისტრაციული გადასახდელის დადების შესახებ აღასრულებს მილიცია.

39. დადგენილება ადმინისტრაციული გადასახდელის დადების შესახებ აღსრულებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი წლისა კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან. უკეთუ აღნიშნულ ვადაზე დადგენილება აღსრულებულ არ იქნა, იგი ძალასა ჰკარგავს.

**შენიშვნა 1.** დადგენილება გადასახდელის დადების შესახებ კანონიერ ძალაში შესულად ჩაითვლება იმ ვადის გასვლისთანავე, რაც დაწესებულია განსაჩივრებისათვის, უკეთუ თხოვნა დადგენილების გადასინჯვის შესახებ ან საჩივარი შეტანილი არ ყოფილა, ხოლო უკეთუ თხოვნა ან საჩივარი შეტანილია, მისი უშედეგოდ დატოვებისათანავე.

**შენიშვნა 2.** ამა დებულების 33 მუხლით გათვალისწინებული ორგანოების დადგენილება აღნიშნული საკითხის შესახებ საბოლოოა, არ განისაჩივრება და ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან.

40. უკეთუ სავალდებულო დადგენილების დამრღვევს ადმინისტრაციულ გადასახდელად ჯარიმა გადასწევითა, მან საამისო თანხა უნდა შეიტანოს სათანადო ქვითარის მიღებით, არა უგვიანეს ორი კვირისა დღიდან მისთვის გადასახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების გამოცხადებისა, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების სალაროში ან თემის

აღმასრულებელ კომიტეტში, იმისდა მიხედვით, თუ სად მოხდა დარღვევა ან სად ცხოვრობს დამრღვევი.

უკეთეს ამა მუხლის 1-ლ ნაწ. აღნიშნულ ვადაზე ჯარიმა არ იქნა შეტანილი, იგი გადახდევინებულ იქნება იძულებითი წესით და გადასახდელი მიიქცევა სავალდებულო დადგენილების დამრღვევის ქონებაზე საერთო წესისამებრ.

ისეთ შემთხვევაში, რაც 24 მუხლშია აღნიშნული, ფულის მიღების ქვითარს ვასცემს ის თანამდებობის პირი, რომელიც ჯარიმას გადაახდევინებს.

41. ის პირი, რომელსაც გადასახდელად იძულებითი მუშაობა გადაეწყვიტა, ამ მუშაობის მოსახდელად გაიგზავნება იძულებითი სამუშაოს ბიუროს ან იძულებითი სამუშაოს განყოფილების განკარგულებაში; ხოლო იქ, სადაც ასეთი დაწესებულება არ არსებობს,—სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში.

42. იმ პირზე, რომელიც იძულებითი მუშაობის მოსახდელად გაიგზავნა იძულებითი სამუშაოს ბიუროს ან განყოფილების განკარგულებაში, გავრცელდება შრომა-გასწორების კოდექსის მე-4 თავის (დაუპატიმრებლად იძულებითი მუშაობის ბიურო) ყველა მუხლი, გარდა 54, 55 და 56 მუხლისა.

43. იძულებითი მუშაობა, როგორც საერთო წესი, მოხდით უნდა იქნეს იმ პირის საცხოვრებელ ადგილას, რომელსაც მუშაობა გადაეწყვიტა; განსაკუთრებულ შემთხვევაში დამნაშავეს იძულებითი მუშაობის შესრულება სხვაგანაც შეუძლიან, ხოლო ეს სხვა ადგილი მის საცხოვრებელ ადგილიდან 10 ვერსზე მეტი მანძილით არ უნდა იყოს დაშორებული.

**შენიშვნა.** მიწის მუშა გლეხს არ შეიძლება დაენიშნოს იძულებითი მუშაობის მოხდა იმ დროს, როდესაც მინდვრად მუშაობაა.

44. დატუსაღება მოხდება განსაკუთრებულ სადგომში გამასწორებელ სახლთან. შვიდ დღე-და-ღამემდე დატუსაღებულს შეუძლიან მოიხადოს იგი სატუსაღოში მილიციის სამმართველოსთან.

შვიდი დღე-და-ღამეზე მეტი ვადით დატუსაღებული მოვალეა აირჩიოს ერთ-ერთი იმ სამუშაოთაგანი, რაც დაწესებულია ან შეიძლება შემოღებულ იქნეს მისი ჰყრობილობის ადგილას.

### 101. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 63 ც. ა. კ.

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის ადგილობრივი ორგანოების მუშაობის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიისა და მისი ადგილობრივი ორგანოების დებულების მე-7 მუხ. განსავითარებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული ინსტრუქცია სრულიად საქარხ



თველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის ადგილობრივი ორგანოების მუშაობისათვის.

## ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის ადგილობრივი ორგანოების მუშაობის შესახებ.**

ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის რწმუნებულთა და ბიუროს ფუნქციები:

### ა) საბჭოთა აღმშენებლობის დარგში.

1. მონაწილეობის მიღება საარჩევნო კამპანიის განხორციელებისათვის ქალაქისა, თემისა და სოფლის საბჭოებში და წინასწარ საარჩევნო კრებებში, აგრეთვე სათანადო ორგანოებისათვის ხელის შეწყობა ეროვნულ უმცირესობათა ენებზე საჭირო ლიტერატურის გამოცემისათვის.

2. ეროვნულ უმცირესობათა მშრომელი მასების ჩაბმა თემებისა და ქალაქების საბჭოებში და აგრეთვე საბჭოთა ყრილობებისა და მათ აღმასრულებელ ორგანოებში.

3. შემუშავება მასალებისა თემისა და სოფლის ეროვნულ საბჭოთა გამოყოფის საკითხის შესახებ.

4. ეროვნულ უმცირესობათა შესახებ სხვადასხვა საკითხების დამუშავება და შეტანა როგორც საბჭოთა ყრილობაში, ისე სათანადო აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმსა და პრეზიდიუმში.

5. ხელისშეწყობა იუსტიციის ორგანოებისათვის ეროვნულ უმცირესობათა შორის რევოლიუციონური კანონიერების პოპულარიზაციისათვის და ისეთ სასამართლო დაწესებულებათა ქსელის პროექტის შემუშავება, სადაც შემოღებულ იქნება ეროვნულ უმცირესობათა ენები.

6. მონაწილეობის მიღება ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში (რემედასს, ავიო-ქიმი, წითელი ჯვარი და სხვ.) ჩამბისათვის წარმოებულ მუშაობაში.

7. მონაწილეობის მიღება საბჭოთა აპარატის გამოკვლევაში იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად შეუძლიან მას მომსახურება გაუწიოს ეროვნულ უმცირესობათა მშობლიურ ენაზე.

8. სათანადო აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილებასთან ერთად თემისა, სოფლისა და ქალაქის საბჭოებისა და მათი ორგანოებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა მათ მიერ ეროვნულ უმცირესობათა შორის წარმოებულ მუშაობაში და ამ მუშაობის გამოკვლევა.



### ბ. ეკონომიურ დარგში.

9. ხელისშეწყობა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსათვის ისეთ სოციალ-ეკონომიურ და ყოფა-ცხოვრების საკითხებზე მასალის შეგროვებასა და დამუშავებაში, რაც კი ეროვნულ უმცირესობათ შეეხება.

10. მონაწილეობის მიღება საგეგმო ორგანოების მუშაობაში—ისეთ სამეურნეო ხასიათის საკითხებზე გეგმებისა და პროექტების შემუშავებისათვის, ეროვნულ უმცირესობათა ყოფა-ცხოვრებისა და სამეურნეო თავისებურების მიხედვით, რაც-კი ამ უმცირესობათა ინტერესებს შეეხება.

11. შემუშავება საკითხების ეროვნულ უმცირესობათა უღარბეს ნაწილის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ და ამ უმცირესობათა პროლეტარული ნაწილის მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობაში ჩაბმის შესახებ.

12. ხელისშეწყობა კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რაც საჭიროა, რათა ეროვნულ უმცირესობათა მოსახლეობა ჩაებას ყველა სახის კოოპერაციაში, და აგრეთვე ხელის შეწყობა, რათა კოოპერაცია ამ მოსახლეობას მომსახურეობას უწყვედეს მის ენაზე.

13. მონაწილეობის მიღება იმ საკითხების შემუშავებაში, რაც-კი ეროვნულ უმცირესობათა კოოპერატიულ შენაერთებსა და სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებს შორის კრედიტების განაწილებას შეეხება.

14. ხელისშეწყობა საბჭოთა ყველა ორგანოსათვის იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რაც საჭიროა ეროვნულ უმცირესობათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

15. მონაწილეობის მიღება საადგილ-მამულო ორგანოების მუშაობაში აგრარული თვალსაზრისით ზედმეტად მჭიდროდ დასახლებულ ადგილებიდან ეროვნულ უმცირესობათა გლეხობის გადასახლებისათვის, ებრაელი მოსახლეობის მიწის მუშაობაში ჩაბმისათვის, ეროვნულ უმცირესობათა სოფლებში მიწათ-მოწყობისა და მეღიორაციის განხორციელებისათვის და ამ უმცირესობათა მშობლიურ ენაზე აგრო-პროპაგანდის წარმოებისათვის.

16. ხელისშეწყობა ეროვნული უმცირესობათა ჩაბმისათვის სოფლად საურთიერთო დახმარების სასოფლო ამხანაგობაში, ხოლო ქალაქად საურთიერთო დახმარების საზოგადოებებში.

### გ. კულტურულ-გუმანიტარულ დარგში.

17. ხელისშეწყობა განათლების ორგანოებისათვის ეროვნულ უმცირესობათა შორის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის წარმოების საქმეში.

18. მონაწილეობის მიღება ეროვნულ უმცირესობათა შორის კულტურულ განმანათლებელ მუშაობის განხორციელებისათვის საჭირო გეგმებისა და ხარჯთ-აღრიცხვების შემუშავებაში.

19. ხელის შეწყობა ისეთ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რითაც ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებანი უზრუნველყოფილ იქნებიან გაწყობილობით, სადგომებით და მომუშავეებით.

20. შემუშავება, სათანადო ორგანოებთან ერთად, საკითხებისა ეროვნულ უმცირესობათა ენებზე ლიტერატურის გამოცემისა და გავრცელების შესახებ.

21. ხელისშეწყობა ჯანმრთელობის ორგანოებისათვის ეროვნულ უმცირესობათა მიერ დასახლებულ ადგილებში სამკურნალო ქსელის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში, სასანიტარო-საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზაცია ეროვნულ უმცირესობათა ენებზე, ღონისძიებათა განხორციელება ეროვნულ უმცირესობათა სანიტარულ გაჯანსაღებისათვის და აგრეთვე ხელისშეწყობა საბავშვო ბაგათა ორგანიზაციისათვის.

### ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის ბიუროსი და რწმუნებულთა უფლება-მოვალეობანი.

22. ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის ბიუროსა და რწმუნებულებს დაეკისრება:

ა) მონაწილეობა მიიღონ სათათბირო ხმის უფლებით აღმასკომის პრეზიდიუმისა და აღმასკომის განყოფილებათა სხდომებზე იმ საკითხის გამო, რაც ეროვნულ უმცირესობათ შეეხება;

ბ) მოიწვიონ აღმასკომებისა და ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის ნებართვით იმ საბჭოებში მომუშავეთა თათბირები და კონფერენციები, სადაც წარმოდგენილ არიან ეროვნული უმცირესობანი, და აგრეთვე მოიწვიონ ეროვნულ უმცირესობათა მშრომელების თათბირები და კონფერენციები;

გ) მოისმინონ სათანადო ორგანოების მოხსენება ეროვნულ უმცირესობათათვის მომსახურების გაწევის საკითხების შესახებ;

დ) გამოიკვლიონ დამოუკიდებლად ან სათანადო ორგანოებთან ერთად ეროვნულ უმცირესობათა მოსახლეობის ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა;

ე) იკისრონ ინიციატივა ისეთ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში, რაც ხელს უწყობს ეროვნულ უმცირესობათა ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესებას;

ვ) მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში იქ, სადაც ეროვნული უმცირესობა მოსახლეობს;

ზ) მეთვალყურეობა გაუწვიონ სათანადო ორგანოების მიერ ეროვნულ უმცირესობათა შესახებ მომქმედ კანონების შესრულებას;

თ) აღძრან სათანადო ორგანოს მეშვეობით საკითხი იმ დადგენილებათა გაუქმების შესახებ, რაც ამა თუ იმ ეროვნების ინტერესებს ეწინააღმდეგება;

ი) მონაწილეობა მიიღონ სათათბირო ხმის უფლებით ბიუჯეტის იმ ნაწილის შემუშავებაში, რაც ეროვნულ უმცირესობათ შეეხება;

კ) იკისრონ ინიციატივა დაინტერესებულ ორგანოებთან შეერთებულ სხდომების მოსაწვევად—ეროვნულ უმცირესობისათვის მომსახურების გაწევის საკითხების განსახილველად;

ლ) მიიღონ და განიხილონ საჩივრები ადგილობრივი ორგანოების ისეთ უკანონო მოქმედებაზე, რითაც დარღვეულია ეროვნული უმცირესობის ინტერეს-

სები, და გადასცენ ეს საჩივრები ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიას სათანადო წარმართვისათვის;

მ) შეადგინონ სამაზრო აღმასკომთან შეთანხმებით თავიანთი მუშაობის გეგმა და კალენდარი, რასაც დაამტკიცებს ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისია.

23. ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის ბიურო და რწმუნებულები უცხად მასალას, ოქმებს, ანგარიშებს და, აგრეთვე, გამოკვლევის აქტებს პერიოდულად ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიას წარუდგენენ.

24. ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის ბიუროსა და რწმუნებულთა და აღმასკომების განყოფილებათა, აგრეთვე სხვა ორგანოებს შორის მომხდარ გაუგებრობას და შეუთანხმებლობას გადასწყვეტს სათანადო აღმასკომის პრეზიდიუმი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური  
 აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური  
 აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. ივლისის 4.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 183 №-ში 1927 წ. აგვისტოს 13.

## 102. დადგენილება № 14 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

**ყოფილი სასოფლო-საადგილმამულო კომიტეტების მოქმედებაზე შეტანილი საჩივრების განსახილველად მიღების აკრძალვის შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შეუსაბამო და გლახთა უღარიბესი ნაწილის ეკონომიური ინტერესების საწინააღმდეგოდ მიაჩნიათ ჩამოერთვათ გლეხებს ის მიწის ნაკვეთები, რაც მათ აგრარული რეფორმის განხორციელების დროს სასოფლო-საადგილმამულო კომიტეტების დადგენილებებით გადაეცათ, და ამის გამო ა დ გ ე ნ ე:

აეკრძალოთ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების საადგილ-მამულო კოლეგიებს და აგრეთვე საადგილმამულო სასამართლო კოლეგიებს მიიღონ ხოლმე განსახილველად საჩივრები ყოფილი სასოფლო-საადგილმამულო კომიტეტების მოქმედებაზე მიწის ნაკვეთების ჩამორთმევის გამო, ხოლო ისეთ საჩივრების გამო აღძრული საქმეები, რაც ჯერ კიდევ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, უნდა მოსმონ.

ყოველი საკითხი, რაც კი ყოფილი სასოფლო კომიტეტების მოქმედების გამო აღიძვრის, გადაწყვეტილ უნდა იქნეს მიწათმოწყობის წესით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური  
 აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ. სახალხო კომისართა  
 საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური  
 აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. ივლისის 4.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 176 №-ში 1927 წ. აგვისტოს 5.



## 103. დადგენილება № 65 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„საქართველოს სსრ-ში ტყის აღდგენისა და ტყის გაშენების სპეციალური სახსარის“ სახელწოდებით სპეციალური ფონდის დაარსების შესახებ.

რათა ტყის აღდგენისა და ტყის გაშენების საქმე საქართველოს სსრ-ში რაციონალურად იქნეს დაყენებული,—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაარსდეს მიწათმოქმედების სახალხო კომისიარიტთან სპეციალური ფონდი შემდეგი სახელწოდებისა: „საქართველოს სსრ-ში ტყის აღდგენისა და ტყის გაშენების სპეციალური სახსარი“. ეს ფონდი შედგენილ იქნეს სამორე სასყიდლის პროცენტული დანარიცხით.

2. პროცენტული დანარიცხი დაწესდება 10%-ის რაოდენობით ფოთლიანი და 25%-ს რაოდენობით წიწვიანი ტყისათვის.

3. ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში, ტყის კოდექსის 30 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, შესული თანხები დახარჯულ უნდა იქნეს ტყის კულტურისა და ტყის აღდგენის საქმისათვის.

4. ყოველწლივ საქართველოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი შეადგენს სპეციალური სახსარის ხარჯთაღრიცხვას და, არსებულ წესისამებრ, დასამტკიცებლად წარადგენს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვასთან ერთად.

5. სპეციალური სახსარის მიღებისა, შენახვისა და ხარჯვის წესი განისაზღვრება განსაკუთრებული ინსტრუქციით, რასაც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცემს.

6. დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს წარმოადგინოს ერთი თვის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოცემისა შემუშავებული გეგმარესპუბლიკანური მასშტაბით ტყის აღდგენისა და ტყის გაშენებისათვის საჭირო მიწაობისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მავ.

ვ. სტურუა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო  
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. ივლისის 10.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 175 №-ში 1927 წ. აგვისტოს 4.

## 104. დადგენილება № 66. ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 178 მუხ. რედაქციის შეცვლითა და ამ კოდექსისათვის 160<sup>1</sup> და 190<sup>1</sup> მუხლები და 59 მუხლის შინაშენის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა-მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მეორე მუხლის წესისასებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 178 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 178. გაჩხრეკა და ამორკვევა იმ სადგომში, რომელიც დიპლომატიურ წარმომადგენლობას უჭირავს, აგრეთვე იმ სადგომში, სადაც ცხოვრობენ დიპლომატიური წარმომადგენელი და დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრი, სახელდობრ: მრჩეველი (მათ შორის სავაჭრო მრჩეველიც), პირველი, მეორე და მესამე მდივანი და ატაშეები (მათ შორის სავაჭრო, საფინანსო, სამხედრო და საზღვაო) და მათი ოჯახები, შეიძლება მხოლოდ დიპლომატიურ წარმომადგენლის თხოვნითა ან და მისი თანხმობით, რაც გამოთხოვილ უნდა იქნეს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოს მეშვეობით; ამასთანავე ასეთ გაჩხრეკასა და ამორკვევას აუცილებლად უნდა დაესწროს პროკურატურის წარმომადგენელი და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი, უკეთეს იგი უწყებულ ადგილას იმყოფება.

არ შეიძლება, აგრეთვე, ამორკვევა იმ სამსახურებრივი მიწერ-მოწერისა, რაც საკონსულო წარმომადგენლობის სამსახურის სადგომში იხანება საკონსულოს პერსონალის პირადი კორესპონდენციისაგან განცალკევებით, და აგრეთვე იმ მიწერ-მოწერისა, რაც გადააქეთ უცხო სახელმწიფოს დიპლომატიურ კურიერებს და რაც იგზავნება სსრ ტერიტორიაზე მყოფ უცხო სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობის ადრესით, ან სათანადო სახელმწიფო გარეშე საქმეთა სამინისტროს ადრესით, ან თავისი სახელმწიფოს იმ დიპლომატიურ წარმომადგენლობის ადრესით, რომელიც მესამე სახელმწიფოში იმყოფება, ან და ისეთი მიწერ-მოწერისა, რაც დიპლომატიური ფოსტის სახით ტრანზიტით გადაიგზავნება სსრ ტერიტორიაზე. ეს ჩამოთვლილი უპირატესობანი დიპლომატიურ კურიერებს ეკუთვნით ურთიერთობრიობის საფუძველზე.

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატოს 160<sup>1</sup> და 190<sup>1</sup> მუხლები შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 160<sup>1</sup>. არ შეიძლება დაპატიმრებულ ან შეპყრობილ იქნეს არც ადმინისტრაციულის, არც სასამართლოს წესით უცხო სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენელი და დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრი, სახელდობრ: მრჩეველი (მათ შორის სავაჭრო მრჩეველიც), პირველი, მეორე და მესამე მდივანი და ატაშე (მათ შორის სავაჭრო, საფინანსო, სამხედრო და საზღვაო).



აგრეთვე არ შეიძლება დაპატიმრებულ ან შეპყრობილ იქნეს ადმინისტრაციული ან სასამართლო წესით დიპლომატიური კურიერი, რომელსაც გადააქვს დიპლომატიური ფოსტა სსრკ ტერიტორიაზე მყოფი უცხო სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ადრესით, ან სათანადო სახელმწიფოს გარეშე საქმეთა სამინისტროს ადრესით ან თავისი სახელმწიფოს იმ დიპლომატიური წარმომადგენლობის ადრესით, რომელიც მესამე სახელმწიფოში იმყოფება, ან და ის დიპლომატიური კურიერი, რომელსაც დიპლომატიური ფოსტა ტრანზიტით გადააქვს სსრკ ტერიტორიაზე.

ეს უპირატესობანი უცხო სახელმწიფო დიპლომატიურ კურიერს ეკუთვნის მხოლოდ ურთიერთობრიობის საფუძველზე.

უცხო სახელმწიფოს საკონსულო წარმომადგენელს თავისუფლება შეიძლება აღეკვეთოს მარტოოდენ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით; ხოლო აღმკვეთ ღონისძიება თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს მარტოოდენ სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოს დადგენილებით, თანაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს სასამართლო დევნა მის წინააღმდეგ აღძრულია უზენაესი სასამართლოს, ოლქის სასამართლოს და სამხედრო ტრიბუნალის ქვემდებარე ქმედობის გამო.

მუხ. 190<sup>1</sup>. იმ სადგომში შესვლა, რომელიც დიპლომატიურ წარმომადგენლობას უჭირავს, აგრეთვე იმ შენობაშიც, სადაც სცხოვრობენ ამა კოდექსის 178 მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული პირნი, შეიძლება მხოლოდ დიპლომატიური წარმომადგენლის თანხმობით, რაც გამოთხოვილ უნდა იქნეს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოს მეშვეობით; ამასთანავე ასეთი სადგომის დაბეჭდვა არ შეიძლება.

არ შეიძლება აგრეთვე იმ სამსახურებრივი მიწერ-მოწერის გასინჯვა და დაბეჭდვა, რაც საკონსულო წარმომადგენლობის სადგომში ინახება საკონსულოს პერსონალის პირადი კორესპონდენციისაგან განცალკევებით, და აგრეთვე იმ მიწერ-მოწერისა, რაც დიპლომატიურ კურიერებს გადააქვთ ამა კოდექსის 178 მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული წესით.

3. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59 მუხლს დაერთოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

**შენიშვნა.** უცხოეთის დიპლომატიური წარმომადგენელი და დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრი, სახელდობრ: მრჩეველი (მათ შორის სავაქროც) პირველი, მეორე და მესამე მდივანი და ატაშე (მათ შორის სავაქრო, საფინანსო, სამხედრო და საზღვაო) მოვალე არ არის მისცეს ჩვენება როგორც მოწმემ სასამართლო საქმეზე; ხოლო უკეთეს იგი ამაზე თანახმა იქნება, იგი მოვალე არ არის ჩვენების მისაცემად გამოცხადდეს გამომძიებელთან, სასამართლოში ან მოკვლევის ორგანოსთან.

ის წესი, რომლითაც გამოითხოვება ზემოაღნიშნულ პირთა თანხმობა—მისცენ ჩვენება როგორც მოწმემ, აგრეთვე წესი მათი დაკითხვისა, უკეთეს ისინი ამაზე თანხმობას განაცხადებენ, განისაზღვრება იუსტიციის



სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ინსტრუქციით, რასაც იგი გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან შეთანხმებით გამოსცემს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგ. ვ. სტურუა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. დ. აფციაური.

1927 წ. ივლისის 30.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 192 №-ში აგვისტოს 25.

### 105. დადგენილება № 67 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 144<sup>2</sup> მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ს თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ რესპუბლიკის სისხლ. სამ. კოდექსს დანართს 144<sup>2</sup> მუხლი შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 144<sup>2</sup>. ღვინის დაყენებისა, შენახვისა და გაყიდვისათვის კანონით შემოღებული განსაკუთრებული წესების დარღვევა გამოიწვევს ადმინისტრაციული წესით

იძულებითი მუშაობას სამ თვემდე ან ჯარიმას სამას მანეთამდე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგ. ვ. სტურუა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. დ. აფციაური.

1927 წ. ივლისის 30.

ტფილისი-სასახლე.



## 106. დადგენილება № 68 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 182<sup>3</sup> მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 182<sup>3</sup> მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

182<sup>3</sup> მუხ. წინასწარი სანასყიდო სიგელის დადებას, აგრეთვე მისი მოქმედების მოსპობას, დაინტერესებული მხარის მოთხოვნით, რეგისტრაცია უნდა ექნეს ოლქის სასამართლოს სანოტარო განყოფილებაში. გარიგების შინაარს სანოტარო განყოფილება სათანადო კომუნალურ განყოფილებას აცნობებს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგ. ვ. სტურუა.

საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანის მაგ. დ. აფციაური.

1927 წ. ივლისის 30.  
ტფილისი-სასახლე.

## 107. დადგენილება № 69 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის შეცვლისა და დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-რის დადგენილების 2 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სამ. სამ. კოდ. 323<sup>3</sup> მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

§23<sup>3</sup> მუხ. შენიშვნა. იმ საამშენებლო სააქციო საზოგადოების (საპაიო ამხანაგობის) წესდებაში, სადაც სახელმწიფო კაპიტალი სჭარბობს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს რაიონი, რომლის ფარგლებშიაც ამ საზოგადოებას (ამხანაგობას) შეუძლიან აწარმოოს საამშენებლო მუშაობა და გახსნას თავისი ფილიალები და წესდებით ნებადართული დამხმარე დაწესებულებანი.

2. სამ. სამ. კოდ. 324 მუხ. 1 შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რე-

დაქციით:

**მუხ. 324 მუხ. შენიშვნა 1.** ისეთი სააქციო საზოგადოების (საპაიო ამხანაგობის) წესდებას, რომელსაც მიზნად აქვს ოქროსი და მისი თანამდევი ლითონისა და მინერალების ძებნა, კვლევა და ამოღება, ხელი უნდა მოაწეროს სამმა დამფუძნებელმა მაინც.

ისეთ საამშენებლო სააქციო საზოგადოების (საპაიო ამხანაგობის) დამფუძნებელთა რიცხვი, სადაც სახელმწიფო კაპიტალი სჭარბობს, არ შეიძლება ორზე ნაკლები იყოს.

3. სამ. სამ. კოდექსს დაემატოს 324<sup>1</sup> მუხლი შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 324<sup>1</sup>. უკეთეს ისეთი სააქციო საამშენებლო საზოგადოების (საპაიო ამხანაგობის) დამფუძნებელთა შორის, სადაც სახელმწიფო კაპიტალი სჭარბობს, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოა ან მისი ქვემდებარე საწარმო, საზოგადოების (ამხანაგობის) წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, რომ სავალდებულოა საერთო კრების შემდეგი დადგენილებანი სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცოს: ა) მმართველ-გამგებლობის ორგანოთა შედგენილობისა, რევიზიისა და საზოგადოების (ამხანაგობის) ლიკვიდაციის შესახებ; ბ) საფინანსო-წარმოებითი გეგმის დამტკიცების შესახებ; გ) წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ (ამასთანავე ბალანსის დამტკიცება, მოგების განაწილება და ზარალის დაფარვის საშუალებათა განსაზღვრა უნდა მოხდეს იმ საერთო წესით, რაც სახელმწიფო კაპიტალის მონაწილეობით მომქმედ სააქციო წესით საზოგადოებისათვის არის დადგენილი); დ) დამხმარე სამრეწველო დაწესებულებათა გახსნის შესახებ; ე) წესდების შეცვლისა და საზოგადოების (ამხანაგობის) ლიკვიდაციის შესახებ.

ამა მუხლში აღნიშნულ შემთხვევაში საზოგადოების წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სათანადო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს უფლება საგანგებო საერთო კრების მოწვევისა.

4. სამ. სამ. კოდ. 338 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

**მუხ. შენიშვნა.** იმ საამშენებლო სააქციო საზოგადოებას, სადაც სახელმწიფო კაპიტალი სჭარბობს, აეკრძალება იკისროს ნარდად მუშაობის ხელშეკრულებით ვალდებულება ერთი საოპერაციო წლის განმავლობაში ისეთი თანხის სამუშაოს შესრულებისა, რაც ფაქტიურად შეგროვილ ძირითად კაპიტალს თორმეტზე მეტჯერ სჭარბობს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგ. ვ. სტურუა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდიენის მოადგ. დ. აფციაური.



## 108. დადგენილება № 70 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ომის და შრომის ინვალიდებისა და სოციალურ უზრუნველყოფაზე მიღებულ გლახათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ.

ომისა და შრომის ინვალიდებისა და სოციალურ უზრუნველყოფაზე მიღებული გლახების ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ა/კ. სფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 28 მუხლის „თ“ პუნქტის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. განთავისუფლებულ იქნეს შემდეგი ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების გადახდისაგან:

ა) სოციალურ უზრუნველყოფაზე მიღებული ომისა და შრომის ყველა კატეგორიის ინვალიდის კუთვნილი შენობა, რაც დაიბეგრება შეფასებითი გამოსაღებით არა უმეტეს 5 მან. რაოდენობით;

ბ) სოციალურ უზრუნველყოფაზე მიღებული ინვალიდებისა და მათ რჩენაზე მყოფ პირების კუთვნილი, ქალაქის ფარგალში მდებარე ბალები და ბოსტნები, უკეთუ იღნიშნული პირნი ამ ბალებსა და ბოსტნებს დაქირავებული შრომის დაუხმარებლად ამუშავებენ;

გ) ის ვაჭრობა, რასაც „ა“ პუნქტში აღნიშნული პირები ეწევიან ხელით, მიწით ან თაბხით, ბაზარში და სხვა, ვაჭრობისათვის დანიშნულ ადგილას;

დ) სოციალურ უზრუნველყოფაზე მიღებული გლახების კუთვნილი საქონელი, რაც გასაყიდად ბაზარზე მოირეკება (ერთი სული მსხვილფეხა და სამი სული წვრილფეხა საქონელი თითო ოჯახზე).

2. ომისა და შრომის ყველა კატეგორიის ინვალიდი და სოციალურ უზრუნველყოფაზე მიღებული გლახი, აგრეთვე მათ რჩენაზე მყოფი ოჯახის წევრი განთავისუფლდება საჩასაწერო გამოსაღებისაგან.

3. მიენიჭოს მანრაში სოციალურ უზრუნველყოფაზე მიღებულ პირთ ყველა ის კომუნალური შეღავათი, რაც მინიჭებული აქვთ იმ მუშა-მოსამსახურეთ, რომელნიც 50 მან. მეტ ჯამაგირს არ იღებენ.

სრ. საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. ვ. სტურუა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

სრ. საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანის მაგ. დ. აფციაური.

# სენატორული აღმასრულებელი კომიტატის განკარგულგანი.

109. ინსტრუქცია ც. ა. კ.

გლეხთა უფლებების შესახებ ადგილობრივ საჭიროებათა დაკმაყოფილების სფეროში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წლ. იანვრის 31-ის დადგენილების მე-10 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტე ადგენს:

1. სოფლის მოსახლეობას უფლება აქვს საკუთარი სახსრით, თვითდაბეგვრის საშუალებით, დაიკმაყოფილოს ადგილობრივი კეთილმოწყობისა და კულტურულ-სამეურნეო ცხოვრების საჭიროება გზათა მშენებლობისა, სკოლების აგებისა, წყალსადენის გაყვანისა და სამკურნალო პუნქტების მოწყობის სფეროში.

**შენიშვნა.** უკეთუ ადგილობრივი პირობების მიხედვით აუცილებელი იქნება, ამა მუხლში აღნიშნულ საჭიროებათა გარდა, თვითდაბეგვრის საშუალებით სხვა საჭიროების დაკმაყოფილება კეთილმოწყობისა და კულტურულ-სამეურნეო სფეროში, სათანადო მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი, მოქალაქეთა საერთო კრების დადგენილების მიხედვით ან საკუთარი თაოსნობით, წარუდგენს ამის შესახებ მოხსენებას სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

2. განზრახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად იმ სოფლის ან სოფელთა ჯგუფების ან და თემის მოქალაქეთა საერთო კრება, რომლის მცხოვრებნიც უშუალოდ არიან დაინტერესებულნი ამა თუ იმ საჭიროების დაკმაყოფილებაში, გამოიტანს დადგენილებას თვითდაბეგვრის შესახებ.

3. მოქალაქეთა საერთო კრება თავის დადგენილებაში თვითდაბეგვრის შესახებ აღნიშნავს, რა სახსარია საჭირო განზრახული ღონისძიების განსახორციელებლად, რა სახისა უნდა იყოს ეს სახსარი — ფულადი თუ ნატურალური, და რა ანგარიშით უნდა იქნეს გადატანილი ნატურალური სახსარი ფულზე; ამასთანავე მთელი ის სახსარი, რაც კი ამა ინსტრუქციის წესით შეკრფვილ იქნება თვითველ პუნქტში ერთი წლის განმავლობაში, არ უნდა აღემატებოდეს იმავე პუნქტისათვის იმავე წელს შეწერილ მთელ სასოფლო-სამეურნეო გადასახადს.

**შენიშვნა.** ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს ნატურალური სახსრის მაგიერ შეიტანოს შესაფერი თანხა.

4. მოქალაქეთა საერთო კრება თვითდაბეგვრის საკითხის გადასაწყვეტად მოხდება იმ წესით, რაც ვათვალისწინებულია თემის საბჭოებისა და თემის აღმასრულებელი კომიტეტების შესახებ გამოცემულ დებულებაში (თავი III), მხოლოდ ამა ინსტრუქციის შემდეგ მუხლებში აღნიშნული განსხვავებით.

5. მოქალაქეთა საერთო კრებას მოიწვევს თემის აღმასრულებელი კომიტეტი მოქალაქეთა განცხადების გამო ან საკუთარი თაოსნობით; საერთო კრება კანონიერია, უკეთეს მას დაესწრო უწყებულებული პუნქტის საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა ორ-მესამედზედ არა ნაკლები რიცხვი.

6. საერთო კრება დადგენილებას გამოიტანს ხმის მარტივი უმეტესობით. საერთო კრების დადგენილება სავალდებულოა სათანადო სოფლისა, სოფელთა ჯგუფისა ან თემის ყველა მცხოვრებისათვის (მუხ. 2).

7. თვითდაბეგვრით განსაზღვრულ გამოსაღებს გაანაწილებს ადგილობრივი თემის აღმასკომი, რომელიც ამასთანავე ვალდებულია მხედველობაში მიიღოს თვითეული საგლეხო მეურნეობის შემოსავლიანობა და ისე შეაწეროს გამოსაღები, რომ პროგრესიული დაბეგვრის პრინციპი დაცული იქნეს.

8. მოქალაქეთა საერთო კრების დადგენილება საბოლოოა. იგი თემის აღმასკომის მიერ დასამტკიცებლად წარედგინება მაზრის აღმასკომს და შესრულებულ იქნება უდავო წესით მხოლოდ დამტკიცების შემდეგ.

9. საერთო კრების დადგენილებით შეკრეფილი სახსარი დაიხარჯება მხოლოდ იმ მიზნისათვის, რაც გათვლისწინებულია აღნიშნულ დადგენილებაში.

10. უკეთეს ამა თუ იმ მიზნით შეუძლებელი იქნება განზრახული სამუშაოს შესრულება, მოქალაქეთა საერთო კრება დაადგენს შეგროვილი სახსარი დაებრუნოს მოქალაქეთ ან გადაიდოს სხვა რამ მიზნისათვის.

11. თვითდაბეგვრის განსახორციელებლად მოქალაქეთა საერთო კრება აირჩევს განსაკუთრებულ კომისიას იმდენი წევრისა და კანდიდატისაგან, რამდენსაც საერთო კრება საჭიროდ დაინახავს.

12. წინა მუხლში აღნიშნულ კომისიასთან ერთად მოქალაქეთა საერთო კრება აირჩევს აგრეთვე სარევიზიო კომისიას სამი წევრისა და ორი კანდიდატის შედგენილობით.

13. განსაკუთრებული კომისია განაწილების მიხედვით აკრებს საჭირო ნატურალურ სახსარს და ფულს და განახორციელებს იმ ღონისძიებას, რისთვისაც თვითდაბეგვრა იყო შემოღებული.

14. საერთო ხელმძღვანელობა კომისიის მუშაობისათვის და მეთვალყურეობა იმისთვის, რომ შეკრეფილი სახსარი მიზანშეწონილად და საერთო კრების დადგენილების შესაფერისად იქნეს დახარჯული, დაეკისრება ადგილობრივ თემის აღმასრულებელ კომიტეტს.

15. მოქალაქეთა საერთო კრებაზე არჩეული ორგანოები (ამა ინსტრუქციის მე-11 და 12 მუხ.) და ადგილობრივი თემის აღმასკომი ვალდებულ არიან სათანადო ანგარიში წარუდგინონ მოქალაქეთა საერთო კრებას, აგრეთვე მაზრის აღმასკომსაც; ამასთანავე ეს კრება შეიძლება მოწვევულ იქნეს მუშაობის დამთავრებისას და, თუ საჭირო იქნება, ამ მუშაობის დროსაც, როგორც თვით მოქალაქეთა თაოსნობით, ისე თემის აღმასკომის მიერ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. ივლისის 4.

ტფილისი—სასახლე



## 110. განმარტება ც. ა. კ.

**სახამართლო-საადგილმამულო საქმეების ზედამხედველობის წესით განხილვის კომპეტენციის განაწილების შესახებ.**

რადგანაც მიწის კოდექსში პირდაპირ არ არის განსაზღვრული, რომელ საადგილ-მამულო სასამართლო ორგანოს ექვემდებარება დამთავრებული სასამართლო-საადგილმამულო საქმეების განხილვა ზედამხედველობის წესით, და ეს გარემოება გაუგებრობას იწვევს, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი განმარტავს:

მიწის კოდექსის 162 მუხლის მეორე შენიშვნისა და 164 მუხლის მიხედვით, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის საადგილ-მამულო საბჭოს მიერ საბოლოოდ გადაწყვეტილ საქმეს ზედამხედველობის წესით განიხილავს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო ყველა დანარჩენ საქმეს—მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის საადგილ-მამულო საბჭო.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგ. ვ. სტურუა.

სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდიენის მოვ. აღ. დ. აფციაური.

1927 წ. ივლისის 18.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 176 №-ში 1927 წ. აგვისტოს 5.

## სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება.

### 111. დადგენილება ს. კ. ს.

**მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის საზღვრებში მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებათა გაერთიანების მიზნით დაევალოს საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, როგორც ცენტრალურ დაწესებულებას, ხელმძღვანელობა გაუწიოს ყველა იმ ორგანიზაციას, რომელიც ბრძოლას აწარმოებს მალარიის წინააღმდეგ რესპუბლიკანური მასშტაბით, და გააერთიანოს ამ ორგანიზაციათა მუშაობა.

2. რათა თავიდან აცილებულ იქნეს ამა თუ იმ ადგილას ნიადაგის დაქაობება, რაც შედეგია ხოლმე მდინარეებზე წარმოებული სხვადასხვა სააღმშენებლო მუშაობისა, რაც ხელს უწყობს მალარიის ბუდეების გაჩენას:



ა) დაევალოს ა/კ რკინის გზის სამმართველოს, შავი ზღვის რკ. გზ. სააღმშენებლო სამმართველოს, ნავთსადგურების განყოფილებას და გზატკეცილების სამმართველოს, წყალთა მეურნეობის სამმართველოს და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს — შეუთანხმონ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს ყველა თავისი საამშენებლო გეგმა სანიტარულ-ტექნიკურ წესების სფეროში;

ბ) დაევალოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, თავისი ადგილობრივი ორგანიზაციების შემწევობით, თვალყური ადევნოს, რათა საამშენებლო სამუშაოთა წარმოების დროს დაკულ იქნეს სანიტარულ-ტექნიკური პირობები იმ ორგანიზაციების ხარჯზე, რომელნიც აწარმოებენ საამშენებლო მუშაობას;

გ) დაევალოს ამა დადგენილების 1 მუხ. ლიტ. „ა“-ში აღნიშნულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, ჯანსახკომის დასახელებით, შეადგინონ შემდგომი წლებისათვის დაწვრილებითი ხარჯთაღრიცხვები იმ ხარჯების გასაწევად, რაც საჭიროა საამშენებლო პროცესში გაჩენილი მაღარიის ბუდეების მოსასპობად და მაღარიასთან ბრძოლის მიზნით სხვა სანიტარულ ღონისძიებათა განსახორციელებლად. ეს ხარჯთაღრიცხვები, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, მოთავსებულ იქნება სათანადო ბიუჯეტებში.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭ. საქმეთა მმართვე. მოვ. დრ. აღმასრ. ხ. სტეფანოვი.

1927 წ. ივლისის 15.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 166 №-ში 1927 წ. ივლისის 23.

**112. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. ქ. ს.**

საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოს დებულება.


2. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის 1921 წლის აპრილის 29-ის თარიღისა და 14 №-ის დადგენილება კოოპერაციის შესახებ და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომის. საბჭოს მიერ 1922 წლის აპრილის 25-ს დამტკიცებული დებულება საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი ხ. სტეფანოვი.

1927 წ. ივლისის 27.

ტფილისი-სასახლე



## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოს შესახებ.

1. კოოპერაციის ყველა სახის განვითარებისა, კოოპერატივების რეგისტრაციისა და კოოპერაციის მოქმედების საერთო მეთვალყურეობისათვის მოეწყობა საკოოპერაციო საქმეთა სამმართველო.

2. საკოოპერაციო საქმეთა სამმართველო არსებობს საქართველოს ეკონომიურ საბჭოსთან.

3. საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოს დაეკისრება:

ა) გააერთიანოს როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ ყველა იმ ორგანოს მოქმედება, რომელსაც კავშირი აქვს კოოპერაციასთან;

ბ) შეიმუშაოს დეკრეტებისა და დადგენილებების პროექტები, გამოსცეს ცირკულარები და ინსტრუქციები კოოპერაციის სფეროში და მისცეს ხოლმე დასკვნა კოოპერატიული ორგანიზაციებისა და სხვა სათანადო დაწესებულებების მიერ კოოპერაციის შესახებ—შემუშავებულ კანონმდებლობათა პროექტის შესახებ;

გ) აწარმოოს როგორც პირველი საფეხურის, ისე სარაიონო და ცენტრალური ორგანიზაციების რეგისტრაცია, გარდა საკრედიტო-კოოპერატიული ამხანაგობებისა და მათი კავშირებისა (მათი წმინდა სახით);

დ) განახორციელოს საერთო კონტროლი ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოთა მიერ კოოპერაციის დარგში გამოცემული დეკრეტებისა და დადგენილებებისა და სამმართველოს ცირკულარების და ინსტრუქციების შესრულებისათვის;

ე) ხელი შეუწყოს კოოპერაციის ყველა სახის განვითარებას და მისი საქმიანობის განმტკიცებას.

5. არც ერთი დეკრეტისა და დადგენილების პროექტი, რასაც კოოპერაციის დარგში ასე თუ ის სახალხო კომისარიატი შეიმუშავებს, არ შეიძლება შეტანილ იქნეს სახალხო კომისართა საბჭოში საკოოპერაციო სამმართველოს დასკვნის გარეშე.

5. საკოოპერაციო საქმეთა სამმართველო შესდგება:

ა) კოლეგიისაგან, რომელშიაც შედიან: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, საქ. სას. სამ. ბანკისა, კოოპერაციის ცენტრების „კეკავშირისა“ და „სოფლის კავშირისა“ და სარეწაო კოოპერაციის წარმომადგენლები. თვითელ წარმომადგენელს დაენიშნება მუდმივი მოადგილე (კოლეგიას თავმჯდომარეობს საქართველოს უმაღლესი ეკონომიური საბჭოს წარმომადგენელი);

ბ) სამუშაო აპარატისაგან, რომელსაც შეადგენს ერთი მდივანი.

6. საკოოპერაციო საქმეთა სამმართველოს დადგენილება, მაგალითად: კოოპერატიულ ორგანიზაციისათვის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

7. ამა დებულების განვითარებისა და განმარტებისათვის საკოოპერაციო საქმეთა სამმართველო, საქართველოს უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დასტურით, გამოსცემს ხოლმე ინსტრუქციას და სახელმძღვანელო ცირკულარს.

ს. ს. მ. უ. პოლიგრაფიული ტრერსტის მე-3 სტაშია.